10785-2-7-2-201811051653

N 10785/2-7
05/11/2018

„ფაქტ-მეტრის“ მთავარ რედაქტორს, ბატონ დავით ქუტიძეს

(მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №75გ)

ბატონო დავით,

თქვენი №15919 წერილის პასუხად გიგზავნით თქვენ მიერ მოთხოვნილ შემდეგ ინფორმაციას:

1. 2016 წლის ნოემბრიდან დღემდე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლების გადაცემის მოთხოვნით მიმართა 173 შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის წევრმა, 4 შემთხვევაში – საქართველოს პარლამენტის კომიტეტმა, ხოლო 5 შემთხვევაში – საქართველოს პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ.

2. საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გამოსცა 156 ბრძანება საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლების გადაცემის თაობაზე, მათ შორის: საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიისათვის – 5 ბრძანება, საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრებისათვის – 38 ბრძანება, საპარლამენტო ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ წევრებისათვის – 52 ბრძანება, საპარლამენტო ფრაქციის „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“ წევრებისათვის – 25 ბრძანება, საპარლამენტო ფრაქციის „ევროპული საქართველო – რეგიონებისთვის“ წევრებისათვის – 14 ბრძანება, საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისათვის – 13 ბრძანება, საპარლამენტო ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ წევრებისათვის – 9 ბრძანება. რაც შეეხება არასამუშაო დღეებში პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლების გადაცემას, ეს მოხდა 1 შემთხვევაში.

3. საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლების გადაცემაზე უარი განაცხადა 26 შემთხვევაში, მათ შორის: საპარლამენტო ფრაქცია „ქართულ ოცნებას“ უარი ეთქვა 5 შემთხვევაში, საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალურ მოძრაობას“ – 3 შემთხვევაში, საპარლამენტო ფრაქცია „ევროპულ საქართველოს“ – 2 შემთხვევაში, საპარლამენტო ფრაქციას „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“ – 6 შემთხვევაში, საპარლამენტო ფრაქცია „საქართველოს პატრიოტებს“ – 10 შემთხვევაში.

4600, ქ. ქუთაისი, ი.აბაშიძის გამზ. №26 საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679, ელ.ფოსტა: contact@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის იმ წევრებს, რომელთაც აღნიშნული უფლების მიღებაზე უარი ეთქვათ, უარის თქმის საფუძველი განემარტათ.

4. 2016 წლის ნოემბრიდან დღემდე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს არ უსარგებლია ზემოაღნიშნული უფლებით.
5. ამასთანავე, მოგახსენებთ, რომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლის თანახმად, საჯაროდ გამოცხადება ნიშნავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ღიად განთავსებას. შესაბამისად, პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება პენიტენციურ დაწესებულებაში დეპუტატისათვის შესვლის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საჯაროდ გამოცხადებულად ითვლება მისი ღიად განთავსებით ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას.
6. აღნიშნული სახის ბრძანებები პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე არ ქვეყნდება. „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 31 დეკემბრის №132/3 ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაცია (მათ შორის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებები), რომელიც ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე (www.parliament.ge) პროაქტიულად გამოქვეყნებას. ამ ბრძანების შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთის პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლების გადაცემის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებები პარლამენტის ვებგვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნებას არ ექვემდებარება.

პატივისცემით,
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსი
ეთერ სვიანაიძე

ე. სვიანაიძე